საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/179

ქ. ბათუმი

14 დეკემბერი, 2018 წ

,, 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ყაზახეთის იურიდიული და ნახიჩევანის სახელმწიფო უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს ზოგიერთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 5 დეკემბრის N 01-08/175 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 13 დეკემბრის MES 2 18 01608973 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ,, 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ყაზახეთის იურიდიული და ნახიჩევანის სახელმწიფო უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს ზოგიერთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 5 დეკემბრის N 01-08/175 ბრძანების პირველი პუნქტის ,, ა, ბ და გ'' ქვეპუნქტბში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) ნახიჩევანის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მსურველების მიერ ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით 2018 წლის 04 დეკემბრიდან - 2018 წლის 20 დეკემბრის 18:00 საათამდე შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

1. პირადობის მოწმობის/საერთაშორისო პასპორტის ასლი;
2. CV (ინგლისურ ენაზე);
3. ნიშნების ფურცელი (ქართულ ენაზე).

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ განხორციელდეს 2018 წლის 20 დეკემბერს 13:00 საათამდე პერიოდში.

გ) გასაუბრება კონკურსანტებთან - 2018 წლის 20 დეკემბერი 13:00 -18:00 საათი. გასაუბრება ჩატარდება საკონკურსო კომისიასთან (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ბსუ-ს პირველი კორპუსი, ოთახი №35). გასაუბრების ზუსტი დრო დამატებით ეცნობებათ სტუდენტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ CV-ში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე).

2. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.
3. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**